დამტკიცებულია:

_____

_____ _____

საბაკალავრო პროგრამის დასახელება:
ჟურნალისტიკა (Journalism)

აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური: ბაკალავრიატი (I საფეხური)

ფართო სფერო: 03 სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია
Social Sciences, Journalism and Information

ვიწრო სფერო: 032 ჟურნალისტიკა და ინფორმაცია
Journalism and Information

დეტალური სფერო: 0321 ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა
Journalism and Reporting

სწავლების ენა: ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ჟურნალისტიკის ბაკალავრი
Bachelor of Journalism

საბაკალავრო პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი

პროგრამის ხელმძღვანელი: მაკა დოლიძე, ასოცირებული პროფესორი

საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება: საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარების, შიდა/გარე მობილობის განხორციელების და ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საბაკალავრო პროგრამის მოცულობა კრედიტებით

პროგრამის ხანგრძლივობა 4 აკადემიური წელი ანუ 8 სემესტრია და მოიცავს 240 კრედიტს (1 კრედიტი = 25 საათი; პროგრამის 240 კრედიტი = 6000 სთ). პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს და მოიცავს: სასწავლო კურსებს, პრაქტიკას და საბაკალავრო ნაშრომს სპეციალობაში.

პროგრამის მიზანი

საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს შიდა და საერთაშორისო შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანი ჟურნალისტიკის ბაკალავრი, გადასცეს ჟურნალისტიკის სფეროს თეორიებისა და ძირითადი პრინციპების ცოდნა. გამოუმუშავოს ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციების სწორად გაცნობიერების და კრიტიკულად გააზრების, თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შერწყმის, მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების შეფასება-ანალიზის და ამის საფუძველზე მიმდინარე ფაქტებისა და მოვლენების შესახებ მასალის მომზადების, ჟურნალისტური ეთიკის ნორმების დაცვის უნარი. კურსდამთავრებული მიღებული ცოდნით, გამომუშავებული უნარებითა და პასუხისმგებლობით მზად იქნება იმ ცვლილებებისათვის, რომლის პირობებშიც მოუწევს მომავალი საქმიანობა.

პროგრამის სტრუქტურა

ჟურნალისტიკის ბაკალავრისთვის შესაბამისი ცოდნის და უნარების ჩამოყალიბება ხდება პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სასწავლო კურსების/კომპონენტების და თავისუფალი კომპონენტების სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების სინთეზის საფუძველზე. საბაკალავრო პროგრამის შინაარსი, სტრუქტურა და სასწავლო გეგმის ლოგიკური თანმიმდევრობა განსაზღვრავს სწავლის შედეგების მიღწევას და ბაკალავრის კომპეტენციების ჩამოყალიბებას. "ჟურნალისტიკის" საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია ჟურნალისტიკის ბაკალავრის საქმიანობისთვის საჭირო კომპეტენციების მიღწევის უზრუნველყოფაზე.

"ჟურნალისტიკის" საბაკალავრო პროგრამა - 240 კრედიტი:

ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები - 180 კრედიტი

- სავალდებულო სასწავლო კურსები – 130 კრედიტი
  მათ შორის:
  - პრაქტიკა - 10 კრედიტი
  - საბაკალავრო ნაშრომი - 10 კრედიტი
- არჩევითი სასწავლო კურსები - 50 კრედიტი

თავისუფალი კომპონენტები - 60 კრედიტი

- სავალდებულო სასწავლო კურსები – 30 კრედიტი
- არჩევითი სასწავლო კურსები - 30 კრედიტი

შენიშვნა: თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსებისათვის განკუთვნილი კრედიტების ფარგლებში სტუდენტს შეუძლია აირჩიოს სდასუ-ს სხვა საბაკალავრო პროგრამ(ებ)იდან სასწავლო კურსები. არჩევანის ერთადერთ შეზღუდვას წარმოადგენს სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობის არსებობა.

სწავლება - სწავლის მეთოდები

საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით, რომლებიც შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მქონე სპეციალისტის მომზადებას. სწავლის პროცესში გამოიყენება სწავლება-სწავლის შემდეგი მეთოდები: სტუდენტზე, ქმედებასა და შედეგზე ორიენტირებული მეთოდები: ინტერაქტიული ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, რომლებიც თავის მხრივ მოიცავენ შემდეგ აქტივობებს: ახსნა-განმარტებას, ზეპირსიტყვიერს, შემთხვევების შესწავლას (Case Study), ჯგუფში (Collaborative) მუშაობას, დისკუსია/დებატებს, როლური თამაში, გონებრივ იერიშს (Brain storming), წერით მუშაობას, პრაქტიკულ მუშაობას, დემონსტრირებას, შემთხვევის ანალიზს და სხვ. კომპონენტის სპეციფიკიდან გამომდინარე, სწავლის პროცესში გამოიყენება, როგორც კონკრეტული მეთოდები, ისე მეთოდების კომბინირება, რის შედეგადაც სწავლების პროცესი ხდება უფრო მრავალფეროვანი, ხოლო ბაკალავრის საქმიანობა - უფრო აქტიური. სწავლება-სწავლის მეთოდების შერჩევა-გამოყენება მიმართულია სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტიური მონაწილეობის სტიმულირებაზე. სტუდენტთა ინტერესებისა და მოთხოვნილებების მაქსიმალურად გათვალისწინებაზე, სტუდენტის მიერ არა მხოლოდ მზა ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევაზე.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება	1. აღწერს ჟურნალისტიკის ძირითად ცნებებს, თეორიებს, პრინციპებსა და კონცეფციებს. 2. კრიტიკული გააზრების საფუძველზე ახდენს ინფორმაციული და ანალიტიკური ჟანრების იდენტიფიცირებას.
უნარები	3. აფასებს ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის, საინფორმაციო სივრცის თავისებურებებს, ჟურნალისტიკის თანამედროვე კონცეფციებს, საზოგადოებაზე მასმედიის ზემოქმედების ფაქტორებს, საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძვლებს; 4. ამზადებს ინფორმაციული და ანალიტიკური ჟანრის მასალებს საზოგადოებისათვის აქტუალურ და საინტერესო მოვლენებსა და ფაქტებზე. 5. იყენებს ჟურნალისტური მედიასამართლისა და ეთიკის ნორმებს, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების პრინციპებს პროფესიულ საქმიანობაში. 6. მოიპოვებს ინფორმაციას, აანალიზებს მიმდინარე პროცესებს და მოვლენებს, აფასებს მათ აქტუალობას, როლსა და დანიშნულებას. აკეთებს არგუმენტირებულ დასკვნებს. 7. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ქართულ და ინგლისურ ენებზე დარგობრივი ტერმინოლოგიით ამზადებს მასალას და ახდენს მის პრეზენტირებას. ამყარებს წერით და ვერბალურ კომუნიკაციას სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან.
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	8. პასუხისმგებლობას იღებს სასწავლო და სამუშაო გარემოში საქმიანობის წარმართვისას და მოქმედებს ეთიკის პრინციპების დაცვით. 9. გეგმავს საკუთარ პროფესიულ განვითარებას და შემდგომი სწავლის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების და შედეგების შედარება/პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები	**საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები**	**შენიშვნა**
საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს შიდა და საერთაშორისო შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანი ჟურნალისტიკის ბაკალავრი, გადასცეს ჟურნალისტიკის სფეროს თეორიებისა და ძირითადი პრინციპების ცოდნა. გამოუმუშავოს ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციების როლის სწორად გაცნობიერების და კრიტიკულად გააზრების.	• აღწერს ჟურნალისტიკის ძირითად ცნებებს, თეორიებს, პრინციპებსა და კონცეფციებს. • კრიტიკული გააზრების საფუძველზე ახდენს ინფორმაციული და ანალიტიკური ჟანრების იდენტიფიცირებას.	
თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შერწყმის, მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების შეფასება-ანალიზის და ამის საფუძველზე მიმდინარე ფაქტებისა და მოვლენების შესახებ მასალის მომზადების, ჟურნალისტური ეთიკის ნორმების დაცვის უნარი.	• აფასებს ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის, საინფორმაციო სივრცის თავისებურებებს, ჟურნალისტიკის თანამედროვე კონცეფციებს, საზოგადოებაზე მასმედიის ზემოქმედების ფაქტორებს, საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძვლებს; • ამზადებს ინფორმაციული და ანალიტიკური ჟანრის მასალებს საზოგადოებისათვის აქტუალურ და საინტერესო მოვლენებსა და ფაქტებზე. • იყენებს ჟურნალისტური მედიასამართლისა და ეთიკის ნორმებს, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების პრინციპებს პროფესიულ საქმიანობაში. • მოიპოვებს ინფორმაციას, აანალიზებს მიმდინარე პროცესებს და მოვლენებს, აფასებს მათ აქტუალობას, როლსა და დანიშნულებას. აკეთებს არგუმენტირებულ დასკვნებს. • თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ქართულ და ინგლისურ ენებზე დარგობრივი ტერმინოლოგიით ამზადებს მასალას და ახდენს მის პრეზენტირებას. ამყარებს წერით და ვერბალურ კომუნიკაციას სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან.	
კურსდამთავრებული მიღებული ცოდნით, გამომუშავებული უნარებითა და პასუხისმგებლობით მზად იქნება იმ ცვლილებებისათვის, რომლის პირობებშიც მოუწევს მომავალი საქმიანობა.	• პასუხისმგებლობას იღებს სასწავლო და სამუშაო გარემოში რეპორტიორისთვის საჭირო საქმიანობის წარმართვისას. • გეგმავს საკუთარ პროფესიულ განვითარებას და შემდგომი სწავლის საჭიროებებს.	

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტთა სწავლის შედეგების მიღწევათა/ცოდნის შეფასება საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კომპონენტების მიხედვით:

▪ სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხდება 100-ქულიანი (max 100 ქულა) სისტემით. სასწავლო კომპონენტის შეფასება მოიცავს ორ ფორმას - შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 21 ქულა. დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი კი, დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების 50 პროცენტია. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასების) გამოყენებით. სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასება (ქულა) წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ფორმებში მიღებული ქულების ჯამს.

▪ შეფასების ფორმები, კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში. ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია ბაკალავრებისთვის.

პრაქტიკა: აღნიშნული სასწავლო კომპონენტის შეფასება ხდება პრაქტიკის ხელმძღვანელის და მენტორის დახასიათების გათვალისწინებით ბაკალავრის მიერ მომზადებული და დაცვის მიზნით კომისიის წინაშე წარ-მოდგენილი პრაქტიკის ანგარიშის საფუძველზე. პრაქტიკის ანგარიშის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით კანონმდებლობით დადგენილი სტუდენტთა მიღწევათა შეფასების სისტემის შესაბამისად. მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას, დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარია 51 ქულა. პრაქტიკის ანგარიში ფასდება პრაქტიკის ხელმძღვანელის/მენტორების მიერ (მინ. 21; მაქს. 60 ქულა) და პრაქტიკის ანგარიშის პრეზენტაცია კომისიის მიერ (მინ. 20 ქულა; მაქს. 40 ქულა). პრაქტიკის ხელმძღვანელის/მენტორის მიერ პრაქტიკის ანგარიშის შეფასების და კომისიის მიერ პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები მოცემულია პრაქტიკის სილაბუსში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის.

საბაკალავრო ნაშრომი: აღნიშნული სასწავლო კომპონენტის შეფასება ხდება საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის დასკვნის გათვალისწინებით რეცენზენტის შეფასებისა (მინ. 31 ქულა, მაქს. 60 ქულა) და საჯარო დაცვის (მინ. 20 ქულა, მაქს. 40 ქულა) ქულათა ჯამით. საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვა სავალდებულოა. სტუდენტის მიერ მომზადებული და დაცვის მიზნით საკვალიფიკაციო კომისიის წინაშე წარმოდგენილი საბაკალავრო ნაშრომის შეფასების საფუძველზე. დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარია 51 ქულა, ხოლო მაქსიმალური - 100 ქულა. რეცენზენტის მიერ საბაკალავრო ნაშრომის შეფასების და კომისიის მიერ დაცვის პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები მოცემულია საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში და ხელმისაწვდომია ბაკალავრებისათვის.

სტუდენტთა სწავლის შედეგების მიღწევათა/ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების სისტემა უშვებს

▪ ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

▪ ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დასაქმების სფერო

ჟურნალისტიკის ბაკალავრს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერ იმ პოზიციაზე, სადაც არ მოითხოვება მაგისტრის აკადემიური ხარისხი. იმუშაოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში - ბეჭდურ და ელექტრონულ მედიაში, საინფორმაციო სააგენტოებში; სახელმწიფო თუ ბიზნესორგანიზაციების პრესსამსახურში; არასამთავრობო ორგანიზაციებში, როგორც ადგილობრივ და ისე საერთაშორისო ფირმებში და საწარმოებში.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია მაგისტრატურაში კანომდებლობით დადგენილი წესით.

საბაკალავრო პროგრამის განხორციელების მატერიალური რესურსი

საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური და ინფორმაციული ტექნოლოგიური რესურსით, რომელიც ხელს უწყობს პროგრამის მიზნებისა და შედეგების მიღწევას. კერძოდ: უახლესი ტექნიკითა და აპარატურით აღჭურვილი ტელევიზია - სდასუ TV, ხმის ჩამწერი სტუდია, პრესკლუბი, საბიბლიოთეკო რესურსი, სათანადო ინვენტარით; სასწავლო ფართით და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერული ტექნიკით. ბიბლიოთეკაში განთავსებულია სასწავლო კურსების სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვ. სასწავლო მასალა (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე არსებული). ბიბლიოთეკის ბეჭდური და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფონდი განახლებადია დარგში მიმდინარე განვითარებების კვადაკვალ და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის შედეგების მიღწევასა და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის განხორციელებას; ბაკალავრიატის სტუდენტებისა და პერსონალისთვის ხელმისაწვდომია საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები. კერძოდ: ELSEVIER (Scopus; Science Direct; Scival Funding (Funding Institutional), Cambridge Journals Online (https://www.cambridge.org/core); eDuke Journals Scholarly Collection (https://www.dukeupress.edu/); Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books (https://www.elgaronline.com/page/70/journals); IMF eLibrary (http://www.elibrary.imf.org/?redirect=true); Royal Society Journals Collection (https://royalsociety.org/journals/); SAGE Premier (http://journals.sagepub.com/), რომლებიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს და პერსონალს გაეცნონ უახლეს სამეცნიერო მონაცემებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად. პრაქტიკას ბაკალავრიატის სტუდენტები გადიან სხვადასხვა ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ბაზაზე და იყენებენ იქ არსებულ მატერიალურ ტექნიკურ რესურსებს.

საბაკალავრო პროგრამის განხორციელების ადამიანური რესურსი საბაკალავრო პროგრამის განხორციელება

საბაკალავრო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური კადრებით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ კომპონენტებს უძღვება უნივერსიტეტის აკადემიური (მათ შორის აფილირებული) და მოწვეული პერსონალი, რომელთაც აქვთ სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი სათანადო კომპეტენცია - დოქტორის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის და/ან პრაქტიკული გამოცდილება.

საბაკალავრო პროგრამის განხორციელების ფინანსური უზრუნველყოფა

სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა, რომელიც მიმართულია პროგრამით გათვალისწინებული პერსონალის ანაზღაურებაზე, წიგნადი ფონდის და სასწავლო მასალის განახლებაზე, პროგრამის შესაბამისი უახლესი ლიტერატურით შევსებაზე, კვლევითი საქმიანობის და სტუდენტთა მიერ მცირე მოცულობის სასწავლო-სამეცნიერო ხასიათის ნაშრომების შესრულების ხელშეწყობაზე, სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში მოწყობასა და საკონფერენციო ნაშრომების კრებულის სახით გამოშვებაზე, ჟურნალისტიკის სფეროს წამყვან სპეციალისტთა საჯარო ლექციებსა და გასვლით სასწავლო ღონისძიებებზე, ასევე სხვადასხვა სტუდენტურ ინიციატივებზე. საბაკალავრო პროგრამისთვის სკოლის ბიუჯეტით ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.

შენიშვნა: *„ჟურნალისტიკის“ საბაკალავრო პროგრამას დამატებითი ინფორმაცია ერთვის დანართის სახით და წარმოადგენს პროგრამის განუყოფელ ნაწილს.*

”ჟურნალისტიკის” საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი: _____

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი: _____

”ჟურნალისტიკის” საბაკალავრო პროგრამის დანართები

დანართი #1

„ჟურნალისტიკის” საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმა
საბაკალავრო პროგრამის კომპონენტები კრედიტებისა და სასწავლო სემესტრების მითითებით

	დასახელება	წინაპირობა	კრედიტები	საათები	საათების განაწილება					სასწავლო სემესტრები							
					საკონტაქტო საათები				დამოუკიდებელი მუშაობის საათები								
					ლექცია	ჯგუფში მუშაობა\ პრაქტიკული \შუალედური	საბოლოო გამოცდა	სულ საკონტაქტო საათები		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18
1. ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები - 180 კრ მათ შორის:																	
სავალდებულო სასწავლო კურსები - 130 კრ																	
1.1	ქართული ენა (მორფოლოგია)	-	5	125	15	15	2	32	93	x							
1.2	ჟურნალისტიკის და მასკომუნიკაციის შესავალი	-	5	125	15	15	2	32	93	x							
1.3	აკადემიური წერა	-	5	125	15	15	2	32	93	x							
1.4	ქართული ენა (სინტაქსი)	1.1	5	125	15	15	2	32	93		x						
1.5	ქართული ჟურნალისტიკის ისტორია	-	5	125	15	15	2	32	93		x						
1.6	მეტყველების კულტურა	-	5	125	15	30	2	47	78		x						
1.7	ახალი ამბების ჟურნალისტიკა	1.2	6	150	15	30	2	47	103			x					
1.8	მედიაეთიკა და თვითრეგულირება	1.2	5	125	15	15	2	32	93			x					
1.9.	ფოტოჟურნალისტიკა	-	5	125	15	15	2	32	93			x					
1.10	ანალიტიკური ჟურნალისტიკა	1.7	6	150	15	30	2	47	103				x				
1.11	ბეჭდური მედია	1.7	6	150	15	30	2	47	103				x				
1.12	მედიის კვლევის მეთოდები	-	5	125	15	30	2	47	78				x				
1.13	დარგობრივი ინგლისური ენა	2.5	5	125	15	45	2	62	63					x			
1.14	ჟურნალისტური გამოძიება	1.7 1.10	5	125	15	30	2	47	78					x			
1.15	სამაუწყებლო მედია (რადიოჟურნალისტიკა)	1.7	6	150	15	30	2	47	103					x			
1.16	სამაუწყებლო მედია (ტელეჟურნალისტიკა)	1.7	6	150	15	30	2	47	103						x		
1.17	ჟურნალისტის შემოქმედებითი სახელოსნო	1.7 1.10	5	125	15	30	2	47	78						x		
1.18	მედიასამართალი	-	5	125	15	15	2	32	93						x		
1.19	საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR) საფუძვლები	1.2	5	125	15	15	2	32	93							x	
1.20	სატელევიზიო პროგრამა	1.15	5	125	15	30	2	47	78							x	

1.21	ინტერნეტჟურნალისტიკა	1.7	5	125	15	30	2	47	78							x	
1.22	პრაქტიკა	1.7 1.15 1.16 1.21	10	250	-	-	-	162	88								x
1.23	საბაკალავრო ნაშრომი	1.11 1.12 1.15 1.16 1.21	10	250	-	-	-	92	158								x
არჩევითი სასწავლო კურსები - 50 კრ																	
1.24	მულტიმედია პაკეტები Adobe Audition, Adobe Premiere	2.1	5	125	15	15	2	32	93								
1.25	საგამომცემლო სისტემები	2.1	5	125	15	15	2	32	93								
1.26	პოლიტიკა და მასმედია	1.2	4	100	15	15	2	32	68								
1.27	მედია და სოციალური საკითხები	1.2	4	100	15	15	2	32	68								
1.28	კულტურულ-საგანმანათლებლო მაუწყებლობა	1.13 1.15	4	100	15	30	2	47	53								
1.29	მედიატექნოლოგიები	2.1	5	125	-	30	2	32	93								
1.30	ბავშვთა საკითხები მედიაში	1.2	4	100	15	15	2	32	68								
1.31	რეკლამა მედიაში	1.2	4	100	15	15	2	32	68								
1.32	მედია და კონფლიქტები	1.2	4	100	15	15	2	32	68								
1.33	სამხედრო ჟურნალისტიკა	1.2	4	100	15	15	2	32	68								
1.34	საზღვარგარეთის მედია	-	5	125	15	15	2	32	93								
1.35	მედიაგანათლება	1.2	5	125	15	15	2	32	93								
1.36	დებატები და ინტერვიუს ტექნოლოგიები	1.7	4	100	15	15	2	32	68								
1.37	აგროჟურნალისტიკა	1.2	4	100	13	32	2	47	53			4 კრ	8 კრ	9 კრ	9 კრ	10 კრ	10 კრ
1.38	ვიდეოოპერატორობა	1.15	5	125	15	15	2	32	93								
1.39	სპორტის ჟურნალისტიკა	1.2	4	100	15	30	2	47	53								
1.40	მედია და მედიცინა	1.2	4	100	15	30	2	47	53								
1.41	მედიამენეჯმენტი	1.2	5	125	15	15	2	32	93								
1.42	სატელევიზიო დოკუმენტალისტიკა	1.15	5	125	15	15	2	32	93								
2. თავისუფალი კომპონენტები 60 კრედიტი																	
სავალდებულო სასწავლო კურსები - 30 კრ																	
2.1	ICT წიგნიერება	-	5	125	-	30	2	32	93	x							
2.2	ინგლისური ენა 1	-	5	125	15	45	2	62	63	x							
2.3	ინგლისური ენა 2	2.2	5	125	15	45	2	62	63		x						
2.4	ინგლისური ენა 3	2.2	5	125	15	45	2	62	63			x					
2.5	ინგლისური ენა 4	2.3	5	125	15	45	2	62	63				x				
2.6	კრიტიკული აზროვნება	-	5	125	15	15	2	32	93		x						
არჩევითი სასწავლო კურსები - 30 კრ																	
2.7	რუსული ენა 1	-	5	125	15	45	2	62	63								
2.8	რუსული ენა 2	2.7	5	125	15	45	2	62	63								
2.9	რუსული ენა 3	2.8	5	125	15	45	2	62	63								
2.10	რუსული ენა 4	2.9	5	125	15	45	2	62	63								
2.11	ფსიქოლოგიის საფუძვლები	-	5	125	15	15	2	32	93	5 კრ	5 კრ	5 კრ		5 კრ	5 კრ	5 კრ	
2.12	ფილოსოფიის საფუძვლები	-	5	125	15	15	2	32	93								
2.13	სოციოლოგია	-	5	125	16	14	2	32	93								

2.14	საქართველოს ისტორია	-	5	125	15	15	2	32	93								
2.15	რელიგიების ისტორია	-	5	125	15	15	2	32	93								
2.16	შესავალი ეკონომიკაში	-	5	125	15	30	2	47	78								
2.17	დემოკრატია და მოქალაქეობა	-	5	125	15	15	2	32	93								
2.18	საარჩევნო სამართალი	-	5	125	15	15	2	32	93								
2.19	სტატისტიკა	-	5	125	15	30	2	47	78								
2.20	ქართული კლასიკური მწერლობა	-	5	125	15	15	2	32	93								
2.21	საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR) საფუძვლები	1.2	5	125	15	15	2	32	93								
2.22	მსოფლიო ხელოვნების ისტორია	-	5	125	15	30	2	47	78								
2.23	ქართული კულტურის ისტორია	-	5	125	15	15	2	32	93								
2.24	საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია	-	5	125	15	15	2	32	93								
2.25	ლიდერობა - მართვის ხელოვნება	-	5	125	15	15	2	32	93								

** **<u>შენიშვნა:</u>** 1) საბაკალავრო ნაშრომის გათვალისწინებული კრედიტების ფარგლებში საკონტაქტო საათების განაწილების განრიგი დაზუსტდება უშუალოდ საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ ნაშრომის სპეციფიკის და სტუდენტის ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით;*

2) საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტის დაშვების სავალდებულო პირობაა დაცვის მომენტისთვის 230 კრედიტის მიღება.

ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის აკადემიური/მოწვეული პერსონალი

სახელი, გვარი	**სტატუსი**	**აფილირების შესახებ**	**სასწავლო კურსები**
დავით კბილაძე	პროფესორი	აფილირებული	სტატისტიკა
გიორგი კალანდია	პროფესორი	აფილირებული	საქართველოს ისტორია; ქართული კულტურის ისტორია; მსოფლიო ხელოვნების ისტორია.
ირინე კაპანაძე	პროფესორი	აფილირებული	რუსული ენა 1; რუსული ენა 2; რუსული ენა 3; რუსული ენა 4.
გიგლა გობეჩია	პროფესორი		ინტერნეტჟურნალისტიკა; ჟურნალისტური გამოძიება; ჟურნალისტის შემოქმედებითი სახელოსნო; ბეჭდური მედია.; ფოტოჟურნალისტიკა;
ნონა ქეცბაია	ასოცირებული პროფესორი		ქართული ენა (მორფოლოგია), ქართული ენა (სინტაქსი).
მაკა დოლიძე	ასოცირებული პროფესორი	აფილირებული	ჟურნალისტიკის და მასკომუნიკაციის შესავალი; დებატები და ინტერვიუს ტექნოლოგიები; ახალი ამბების ჟურნალისტიკა; საზღვარგარეთის მედია; ქართული ჟურნალისტიკის ისტორია.
ნარგიზა კანკია	ასოცირებული პროფესორი		სამაუწყებლო მედია (ტელეჟურნალისტიკა); სატელევიზიო დოკუმენტალისტიკა; რეკლამა მედიაში.
მარინე ლომიძე	ასოცირებული პროფესორი		ანალიტიკური ჟურნალისტიკა; მედია და სოციალური საკითხები; საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR) საფუძვლები.
ხათუნა ჩარკვიანი	ასოცირებული პროფესორი	აფილირებული	პოლიტიკა და მასმედია; მედია და კონფლიქტები; მედიასამართალი; დემოკრატია და მოქალაქეობა; სამხედრო ჟურნალისტიკა.
თამარ ჩაჩანიძე	ასოცირებული პროფესორი	აფილირებული	შესავალი ეკონომიკაში
გიორგი ლილუაშვილი	მოწვეული პერსონალი		ICT წიგნიერება; მულტიმედია პაკეტები Adobe Audition; Adobe Premiere; საგამომცემლო სისტემები მედიატექნოლოგიები.
მანანა გაგოშიძე	ასოცირებული პროფესორი		ფილოსოფიის საფუძვლები; მედიის კვლევის მეთოდები;

			რელიგიების ისტორია.
ჟანეტა კილასონია	ასისტენტ- პროფესორი	აფილირებული	სოციოლოგია;
თეა ლათიფაშვილი	ასოცირებული პროფესორი		სამაუწყებლო მედია (რადიოჟურნალისტიკა)
ხატია შევარდნაძე	ასოცირებული პროფესორი		აკადემიური წერა; მეტყველების კულტურა; კრიტიკული აზროვნება; ქართული კლასიკური მწერლობა.
მაია თუნგია	ასისტენტ პროფესორი	აფილირებული	მედია ეთიკა და თვითრეგულირება; ბავშვთა საკითხები მედიაში; მედიაგანათლება; მედიამენეჯმენტი.
მარინე გერმანიშვილი	მოწვეული პერსონალი		კულტურულ-საგანმანათლებლო მაუწყებლობა; სატელევიზიო პროგრამა.
ნესტან აკობია	ასოცირებული პროფესორი	აფილირებული	ინგლისური ენა 1; ინგლისური ენა 2; ინგლისური ენა 3; ინგლისური ენა 4; დარგობრივი ინგლისური ენა.
			საარჩევნო სამართალი
ლია მეტრეველი	მოწვეული პერსონალი		საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია;
ინგა კოკაია	ასოცირეუბლი პროფესორი	აფილირებული	ინგლისური ენა 1; ინგლისური ენა 2; ინგლისური ენა 3; ინგლისური ენა 4.
სოფიო მორალიშვილი	მოწვეული პერსონალი		ინგლისური ენა 1; ინგლისური ენა 2; ინგლისური ენა 3; ინგლისური ენა 4; დარგობრივი ინგლისური ენა.
თამარ ხეცურიანი	მოწვეული პერსონალი		ინგლისური ენა 1; ინგლისური ენა 2; ინგლისური ენა 3; ინგლისური ენა 4; დარგობრივი ინგლისური ენა.
ნინო ცერცვაძე	მოწვეული პერსონალი		ფსიქოლოგიის საფუძვლები; ლიდერობა - მართვის ხელოვნება.
ზესარიონ ორმოცაძე	მოწვეული პერსონალი		ვიდეოოპერატორობა
თინათინ გოცაძე	მოწვეული პერსონალი		მედია და მედიცინა
ვაჟა დანელია	მოწვეული პერსონალი		სპორტის ჟურნალისტიკა

დანართი 3

კურიკულუმის რუქა

#	**სასწავლო კურსები**	**სწავლის შედეგები**								
		შედეგი 1	შედეგი 2	შედეგი 3	შედეგი 4	შედეგი 5	შედეგი 6	შედეგი 7	შედეგი 8	შედეგი 9
1	ქართული ენა (მორფოლოგია)							1		
2	ჟურნალისტიკის და მასკომუნიკაციის შესავალი	1,2		1			1			
3	აკადემიური წერა							1		
4	ქართული ენა (სინტაქსი)							2		
5	ქართული ჟურნალისტიკის ისტორია	1								
6	მეტყველების კულტურა	1,2						3		
7	ახალი ამბების ჟურნალისტიკა	3	1,2		1,2		2		1	1,2
8	მედია ეთიკა და თვითრეგულირება	1,2				1,2,3				
9	ფოტოჟურნალისტიკა	1			1,2					
10	ანალიტიკური ჟურნალისტიკა	3	3		1,2		2		1	2
11	ბეჭდური მედია	2,3		2,3			3		1	1
12	მედიის კვლევის მეთოდები						3			
13	დარგობრივი ინგლისური ენა							3		
14	ჟურნალისტური გამოძიება	1,2		2,3	2,3		2,3	1	2,3	
15	სამაუწყებლო მედია (რადიოჟურნალისტიკა)	2,3		2,3	3		3		2,3	2,3
16	სამაუწყებლო მედია (ტელეჟურნალისტიკა)	2,3		2,3	3		3		2,3	2,3
17	ჟურნალისტის შემოქმედებითი სახელოსნო	3			3					
18	მედიასამართალი	1,2				1,2,3				
19	სატელევიზიო დოკუმენტალისტიკა	2,3		2,3	3		3		2,3	2,3
20	სატელევიზიო პროგრამა								3	3
21	ინტერნეტჟურნალისტიკა	2,3			3		3		1,2	1,2
22	პრაქტიკა			3	3	3	3	3	3	3
23	საბაკალავრო ნაშრომი	3	3	3	3	3	3	3	3	3
24	ICT წიგნიერება							1,2,3		
25	ინგლისური ენა 1	1						1		
26	ინგლისური ენა 2	1						2		
27	ინგლისური ენა 3	1						2		
28	ინგლისური ენა 4	1						2		
29	კრიტიკული აზროვნება	1	1							

შედეგი 1. აღწერს ჟურნალისტიკის ძირითად ცნებებს, თეორიებს, პრინციპებსა და კონცეფციებს.

შედეგი 2. კრიტიკული გააზრების საფუძველზე ახდენს ინფორმაციული და ანალიტიკური ჟანრების იდენტიფიცირებას.

შედეგი 3. აფასებს ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის, საინფორმაციო სივრცის თავისებურებებს, ჟურნალისტიკის თანამედროვე კონცეფციებს, საზოგადოებაზე მასმედიის ზემოქმედების ფაქტორებს, საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძვლებს;

შედეგი 4. ამზადებს ინფორმაციული და ანალიტიკური ჟანრის მასალებს საზოგადოებისათვის აქტუალურ და საინტერესო მოვლენებსა და ფაქტებზე.

შედეგი 5. იყენებს ჟურნალისტური მედიასამართლისა და ეთიკის ნორმებს, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების პრინციპებს პროფესიულ საქმიანობაში.

შედეგი 6. მოიპოვებს ინფორმაციას, აანალიზებს მიმდინარე პროცესებს და მოვლენებს, აფასებს მათ აქტუალობას, როლსა და დანიშნულებას. აკეთებს არგუმენტირებულ დასკვნებს.

შედეგი 7. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ქართულ და ინგლისურ ენებზე დარგობრივი ტერმინოლოგიით ამზადებს მასალას და ახდენს მის პრეზენტირებას. ამყარებს წერით და ვერბალურ კომუნიკაციას სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან.

შედეგი 8. პასუხისმგებლობას იღებს სასწავლო და სამუშაო გარემოში რეპორტიორისთვის საჭირო საქმიანობის წარმართვისას.

შედეგი 9. გეგმავს საკუთარ პროფესიულ განვითარებას და შემდგომი სწავლის საჭიროებებს.

შენიშვნა: დანართ 3-ში შედეგისა და სასწავლო კურსების სვეტის გადაკვეთაში ჩაწერილი რიცხვები ნიშნავს თუ როგორ ავითარებს ესა თუ ის სასწავლო კურსი შესაბამის სწავლის შედეგს. კერძოდ: 1 - გაცნობა; 2 - გაღრმავება და 3 - განმტკიცება.

დანართი 4

სამიზნე ნიშნულები

N	სწავლის შედეგი	სამიზნე ნიშნული
1.	აღწერს ჟურნალისტიკის ძირითად ცნებებს, თეორიებს, პრინციპებსა და კონ-ცეფციებს.	შეფასების კომპონენტში სტუდენტების 50% მაქსიმალური შეფასების 70%
2.	კრიტიკული გააზრების საფუძველზე ახდენს ინფორმაციული და ანალიტიკური ჟანრების იდენტიფიცირებას.	შეფასების კომპონენტში სტუდენტების 50% მაქსიმალური შეფასების 61- 70%
3.	აფასებს ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის, საინფორმაციო სივრცის თავისებურებებს, ჟურნალისტიკის თანამედროვე კონცეფციებს, საზოგადოებაზე მასმედიის ზემოქმედების ფაქტორებს, საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძვლებს.	შეფასების კომპონენტში სტუდენტების 65% მაქსიმალური შეფასების 61- 70%
4.	ამზადებს ინფორმაციული და ანალიტიკური ჟანრის მასალებს საზოგადოებისათვის აქტუალურ და საინტერესო მოვლენებსა და ფაქტებზე.	შეფასების კომპონენტში სტუდენტების 60% მაქსიმალური შეფასების 61- 70%
5.	იყენებს ჟურნალისტური მედიასამართლისა და ეთიკის ნორმებს, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების პრინციპებს პროფესიულ საქმიანობაში.	შეფასების კომპონენტში სტუდენტების 50% მაქსიმალური შეფასების 71- 80%
6.	მოიპოვებს ინფორმაციას, აანალიზებს მიმდინარე პროცესებს და მოვლენებს, აფასებს მათ აქტუალობას, როლსა და დანიშნულებას. აკეთებს არგუმენტირებულ დასკვნებს.	შეფასების კომპონენტში სტუდენტების 55% მაქსიმალური შეფასების 61- 70%
7.	თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ქართულ და ინგლისურ ენებზე დარგობრივი ტერმინოლოგიით ამზადებს მასალას და ახდენს მის პრეზენტირებას. ამყარებს წერით და ვერბალურ კომუნიკაციას სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან.	შეფასების კომპონენტში სტუდენტების 60% მაქსიმალური შეფასების 71- 80%
8	პასუხისმგებლობას იღებს სასწავლო და სამუშაო გარემოში რეპორტიორისთვის საჭირო საქმიანობის წარმართვისას.	შეფასების კომპონენტში სტუდენტების 45% მაქსიმალური შეფასების 61- 70%
9	გეგმავს საკუთარ პროფესიულ განვითარებას და შემდგომი სწავლის საჭიროებებს.	შეფასების კომპონენტში სტუდენტების 45% მაქსიმალური შეფასების 71- 80%